№ 126
ხუთშაბათი, 16 ივნისი 1894

1877—1894

ივერია

№ 126
ხუთშაბათი, 16 ივნისი 1894

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
ᲒᲐᲖᲗᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲑᲐᲭᲔᲑᲚᲐᲓ:
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას—სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.
ᲤᲐᲡᲘ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲡᲐ:
ჩვეულებრივი სტრიქონი 8 კოპეიკი.

ᲒᲐᲖᲗᲘᲡ ᲤᲐᲡᲘ ᲓᲘᲓᲘᲗᲘᲗᲠᲘᲡ

თვე	მან.	კ.	
12	10	—	
11	9	50	
10	8	75	
9	8	—	
8	7	25	
7	6	50	
თვე	მან.	კ.	
6	6	—	
5	5	50	
4	4	75	
3	3	50	
2	2	75	
1	1	50	

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

ᲨᲔᲢᲐᲑᲚᲘᲙᲐᲪᲘᲢᲐᲜᲘ ᲘᲕᲐᲜᲔ ᲓᲘᲛᲘᲢᲠᲘᲡ ᲫᲔ ᲛᲐᲮᲕᲘᲚᲐᲫᲔ, ᲛᲐᲠᲗᲐ ᲓᲘᲛᲘᲢᲠᲘᲡ ᲐᲮᲚᲘ ᲙᲝᲜᲯᲐᲢᲝᲕᲘᲡᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲓᲔᲓᲐᲙᲐᲪᲘᲡ ᲞᲔᲢᲠᲔ ᲙᲝᲜᲯᲐᲢᲝᲕᲘᲡ ᲨᲕᲘᲚᲘ გულითადის მწუხარებით აუწყებენ რა ნაცნობთა და ნათესავთა გარდაცვლებასა პირველი და მეორე დისწულისასა, ხოლო მესამე შვილიდან დისწულისას, **ᲗᲐᲛᲐᲠ ᲓᲐᲕᲘᲗᲘᲡ ᲐᲮᲚᲘᲡ ᲒᲝᲪᲘᲐᲕᲘᲚᲘᲡᲐᲡ**, პირველ საქალაო გიმნაზიაში IX კლასში წელს სწავლა დამთავრებულისას, სთხოვენ მობრძანდნენ პარასკევს, 17 ივნისს, 12-ს საათზედ, წმ. სამების ეკკლესიაში სადაც გარდახდილ იქმნება მიცვალებულის პანაშვიდი. (1—1387—1)

ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲘ, 16 ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲡ

—

იმ ქვეყნებში, სადაც წარმომადგენლობითი მართებლობაა, სადაც უმრავლესი სახელმწიფო მოხელეც-კი ამორჩეული უნდა იყოს, ანუ, რასაკვირველია, თითოეული ძალიებლობის წევრის გამოკენებას საერთო კრებულისაგან, თუნდ ეს წევრი რესპუბლიკის პრეზიდენტიც იყოს, არა აქვს ისეთი მნიშვნელობა, რომ ამ გვარის შემთხვევათ სახელმწიფო შენობა დაარღვეს და საქვეყნო საქმეთა ჩვეულებრივი მიმდინარეობა შესწყდეს.

ეროდესაც რესპუბლიკურს ერს ისეთი განსაცდელი მოევლინება, როგორიც ახლა საფრანგეთისას, მაშინ იგი ერთის მოკლულის სახელმწიფოს მეთაურის ნაცვლად მეორეს ირჩევს და სახელმწიფო საქმეთა მმართველ-გამგეობის ჩარხი შეუფერებლად განაგრძობს მუშაობასა. ასე იყო ჩრდილოეთის შტატების პრეზიდენტების—ლინკოლნისა და გარფილდის მოკვლის შემდეგ და, უეჭველია, ასევე იქნება საფრანგეთშიც. ასეთის თვისებისა არის პარლამენტალური მმართველობა ქვეყნისა, და მეტადრე მმართველობა რესპუბლიკური.

აქ თვით პრეზიდენტი, ეს უწარჩინებულესი და პირველი მოხელე სახელმწიფოსი, მხოლოდ უბრალო ადამსრულებელია ერის ბრძანებისა და რაც ნაკლებ ინიციატივას გამოიჩენს იგი თავისს დიდ ხარისხოვანს ალაგზედ, მით უფრო ძვირფასია და სანატრელი.

როგორც ევროპაში, აგრეთვე ამერიკაშიც, სწორედ ამ გვარის თვისების პრეზიდენტებს ირჩევს ხოლმე კონგრესი და გამოცდილებამ დაანახვა ერს, რომ ეს აზრი საფუძვლიანია. პარლამენტალურ დაწესებულებაში თითოეული წევრი, თითონ კაცი-კი არ შეიცავს ძალიერებას სახელმწიფოს შენობისას, არამედ თვით ეს შენობაა მკვიდრი ტაძარი, რომელიც აგებულია ერის წარმომადგენელთაგან.

ხოლო სულ სხვასა ვხედავთ იქ, სადაც წარმომადგენლობითი მართველობა არ არსებობს, სადაც მთელის ქვეყნის ბედი დამოკიდებულია თითოეულის შეუსაზღვრელის მეფის საკუთარს სურვილზედ. იქ შემმართელი გამგე, სული და გული მთავრობისა, რასაკვირველია, თვით ეს ყოვლად შემძღებელი და უფლება მოსილი მეფე, რომელისაგანაც დამოკიდებულია მთელის ერის ბედი და უბედობა.

ამიტომ ამ გვარს ქვეყანაში თითოეულის მეფის დირსებას, თუ ნაკლულევანებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რადგანაც აქ თითონ კაცი ფასდება. და არა დაწესებულება.

მართალია, დღეს საფრანგეთი დამგლოვიარდა თავის პრეზიდენტის საზარელის სიკვდილის გადებდა ჩვენს ვექილზე და აზრებს დაუფანტავდა ხოლმე, ასე რომ ერთს ხანს შტერივით რჩებოდა. ამ ამბავმა ასე-მოუვიდა და ეს წყენა მით უფრო გაორკეცდა, რომ ხალხმა სიცილი ასტეხა.

გაჯავრებულმა მსაჯულმა წამოაგლო ზარს ხელი და, რაც შეეძლო, აწკარუნებდა.—გაჩუმდით! გარეთ გაგრეკავთ!..—ჰკვიროდა მსაჯული—მე თქვენ ნებას არ გაძლევთ, ბ-ნო ვექილო,—მიმართა მან ყბედაძეს—ამ საქმის შესახებ კიდევ განაგრძოთ ლაპარაკი; ვავიწყდებათ სადაცა ხართ და უწმაწურად ოხუჯობთ!.. ბ-ნო მოპასუხის ვექილო, რა გაქვთ სათქმელი?

ასტფორიანეცი შეინძრა, რის გამოც საკარძელმა ერთი ვაი-უშველებელი ასტეხა.

— მე იმას მოგახსენებთ, რომ სწორედ ამ გვარივე საქმე ე—ნის სასამართლოში ირჩეოდა... მოსამართლემ დაკმაყოფილა მოჩივარის თხოვნა, მოპასუხემ საქმე ოლქის სასამართლოში გადაიტანა და ოლქის სასამართლომ კი მომრიგებელ-მოსამართლის გარდაწყვეტილება გააუქმა...—ეს სიტყვები ასტფორიანეცმა დიდის ვაი-ვაგლახითა და წვალებით წარმოსთქვა, თითქმის ნახეკარი საათი მოანდომა; ამასთანავე „რუსული“ გრამატიკა ჯავარზედ გაკრა და აწამა; თან ისე ხვნეშოდა და ისე უსტვენდა ცხვირით, რომ აღმართზედ მიმავალი მატარებელი გეგონებოდათ.

— მერე? იკითხა მსაჯულმა,

— მერე? მ..მ..მ..ი..ა..ა... და ჩვენი ორატორი გაშტერდა. მსაჯულის კითხვამ იგი გააკვირვა. ნუ თუ კიდევ რამე არის საქიროო სათქმელად. საცოდავმა ტუჩების ცმაცური მოაყელა, თვალებში სულ ადარ ეტყობოდა აზროვნების ნიშნწყალი, ჭირის ოფლმა დაასხა და თავის სიახლოვეს ვედარაფერს ხედავდა. მხოლოდ ის სამნელი სიტყვა „მერე“ ედგა თვალ-წინ და ასტფორიანეცი მთელის თვისის არსებით ამ საზარელს სიტყვას ჩასჭიჯებოდა, თითქოს ამ სიტყვაშიე ეძებდა ხსნას. მაგრამ მისი უბედურება ამითი არ გათავდა... აი, უეცრად ეს სიტყვა გადიდდა, გაბარწყინდა და ყველი იქ მყოფის სახეზედ უშველებელის ასოებით ალიბეჭდა, მერე ბოლოს ისეთი არა ჩვეულებრივის სიდიდის „კითხვითი ნიშანი“ ეჯდა, რომ ასტფორიანცს ჯერ ამისთანა არა ენახა-რა... ამასთან ერთად შეამჩნია, რომ მისი მოპირდაპირე ყბედაძე ამ „კითხვითი ნიშნის“ შუა გულში დგას და დაბრეკილს სახეზედ აღუბეჭდია სხვა-და-სხვა ფერის ასოთი ის შემაძრწუნებელი „მერე“. ამან უფრო უარესად არივ-დარია სქელ ვექილის „სქელი“ აზრები.

ᲚᲘᲝᲜᲘ *). კარნოს გვამი პარიზისაკენ წაასვენეს საღამოს 4 საათზედ; ლოცვის შემდეგ, რომელიც გადიხადა მთავარ-ეპისკოპოსმა, კუბო გამოიტანეს საპრეფექტოდგან და დასდგეს სამგლოვიარო ეტლზედ; კუბოს მისდევენენ მთავრობის ყველა წარმომადგენელნი; აღურიცხველი ხალხი იდგა მწუხარად გზაზედ, რომელზედაც კუბო გაატარეს, მოწიწებით ქუდ-მოხდილები. როდესაც მოაშორეს კუბო, ხალხი აღელვდა, გაისმა ძახილი: „კარნოს მგიერ შური ვიძიოთ, შორს ჩვენგან მკვლელიო“. მემანიფესტენი წავიდნენ ქალაქის მესამე უბანში და სრულიად მტვრად აქციეს ის დუქნები, რომელიც უცხო ქვეყნელებს ეკუთვნოდათ; ქალაქის შუა გულს ალაგას აღელვებულმა ხალხმა ერთს ყავახანის პატრონს დუქანი ძალათი დააკეტინეს; კირასირთა ესკადრონმა გაჰფანტა მემანიფესტენი; იტალიელთა ქარხნებს რამდენსამე ალაგას ცეცხლი გაუჩნდა. პოლიციელები ხალხს ამშვიდებენ და სთხოვენ, პატივი ეცით ქ-ნს კარნოს მწუხარებასაო. ხალხი პასუხად გაჰყვირის: „კარნოს მოკვლის ჯავრი უნდა ვიყაროთო“!.. კარნოს გვამი ექიმებმა გასჭრეს და ამის ოქმში სწერია: «დიდად საშინელი ჭრილობა აქვს; ღვიძლში შუაზედ გაუვლია მახვილს 12 სანტიმეტრის სიღრმეზედ; გულის დიდი მფეთქავი ძარღვი გადაჭრილია; ორს ადგილას გვერდის წიბო გადამტვრეული აქვს; მახვილს 18 სანტიმეტრამდის ჩაუხწევია სხეულში; განსვენებულს მკერდში დიდ-ძალი სისხლი ჩაჰგუბებიდა.»

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ

—

*** მოგვყავს იმათი სია შემოკლებით, რომელთაც მის იმპერატორებითის უდიდებულესობის კაბინეტიდ-

*) იხ. მეოთხე გვერდი.

ᲓᲔᲞᲔᲨᲐ

14 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ

ᲠᲝᲛᲘ. მოვიდა თუ არა ამბავი კარნოს გარდაცვალებისა, მთავრობის ბრძანებით ყველა საზოგადო შენობაზედ ნახევრამდე ჩამოშვებულო იქმნა ბაირაღები გლოვის ნიშნად. მთელი იტალია დიდად აღშფოთებულია და დამწუხარებული; პარიზში დიდ ძალი სამგლოვიარო დეპეშა გაიგზავნა მეფისა, პაპისა, კრისპისა და მთავრობისაგან.

კარნოს მკვლელი სანტო კაზერიო, მილანის პროვინციის დაბა მოტა-ვისკონტშია დაბადებული 1873 წელს და ხელობით ქადა პურების მკეთებელია. 1892 წელს კაზერიო სხვებთან ერთად სამართალში იყო მიცემული საზოგადოებრივ წესის დარღვევისათვის, მაგრამ გაამართლეს საკმაო გუშის უქონლებისა გამო. კაზერიო დიდად საშიში და საფრთხილო ანარხისტია; წარსულ წელში იგი შვეიცარიაში ფანატიზმით სავსე ლექციებსა კითხულობდა.

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ. კარნოს გვამი დილის 3 საათსა და 15 წუთზედ ლიონის სადგურზედ მოასვენეს და აქედგან ელისეის სასახლეში მიასვენეს.

გერმანიის იმპერატორმა მიანდო გრაფ მიუნსტერს, გადაეცითო საფრანგეთის მთავრობას ჩემი აღშფოთება და ზიზღი კარნოს შემძარწუნებელ მოკვლისა გამო, და ქ-ნს კარნოს დეპეშა გაუგზავნა. რუსეთისა და ავსტრი-უნგრეთის ელჩებმაც სამგლოვიარო დეპეშანი გაუგზავნეს ქ-ნს კარნოს.

პარლამენტისა და სენატის წევრნი შეიყარნენ სათათბიროდ პრეზიდენტის ამორჩევის შესახებ; პარლამენტის ორმა დასმა გადასწყვიტა კაზიმირ პერიე გამოაცხადონ კანდიდატად; რადიკალები ბრისსონის კანდიდატობას ემხრობიან. ყველა თეატრში შეეჩერეს წარმოდგენები.

ᲤᲔᲚᲔᲢᲝᲜᲘ

„ᲩᲐᲡᲢᲜᲘ ᲞᲝᲞᲝᲕᲠᲔᲜᲘ ᲧᲑᲔᲓᲐᲫᲔ“

(სურათი)

(დასასრული *)

სქელ ვექილის ამ გვარმა საქციელმა ყბედაძე მთლად აიპილილა და თავ-დავიწყებულმა შეუძახა:

— თქვენ, ისა სჯობია, მუცელს აუფრთხილდეთ, რომ ბალიშ-მუთაქაში ფასი არ გაიღოთ!..

ამის გამგონი ასტფორიანეცი მთლად ჩაიფუფქა და მერე ძალიან ნანობდა, რად გავერიე იმათ ლაპარაკშიო. ისევის იმაზედ საწყენი არა იყო-რა, როცა მუცლის შესახებ ეტყოდნენ რასმეს. თუნდა ქებაც ყოფილიყო, მუცლის გახსენება ცუდად ჰმოქმედებდა ხოლმე.

*) იხ. „ივერია“, № 125.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გან მიიღეს სხვა-და-სხვა საჩუქარი: ამიერ-კავკასიის რკინის გზის უფროსს ა. იუ. ფრიდეს—ოქროს სათუთუნე ბრილიანტებით მოკედილი; ჟანდარმების უფროსს გენერალს ჰერ-ცოგს, ჟანდარმის ოფიცერს ტუმან-სკის, ინჟინერებს ბალიუკევიჩს და პუ-შეჩნიკოვს—ოქროს საათები, ოქროსავე ძეწკვებით; რკინის გზის მოძრაობის უფროსს ბ-ნ ზლოტნიკოს—ოქროს ბეჭედი ძვირფასის თვლებით; ინჟენერ ბ-ნ ვედენეევს—ოქროს გულის ქინძისთავი ზურგზუტკითა და ბრილიანტებით მოკედილი; ტფილისის ფოსტა ტელეგრაფის კანტორის უფროს ბ-ნ კოვალსკის, კანტორის უფროსს აბასთუმანში ბ-ნ ყალამქაროვს, მის თანაშემწეს ბ-ნ სერდიუკს, ტელეგრაფის მოხელეს ბ-ნ ბილფელდს, აბასთუმნის მღვდელს მ. ზედგინიძეს და გუბერნატორის საგანგებო საქმეების მოხელეს ბ-ნს იახონტოვს—ოქროს საათები ოქროსავე ძეწკვით. ახალციხის პოლიციის ბოქ-ულის თანაშემწეს ბუდულოვს—ოქროს საათი და ახალციხის მაზრის უფროსის თანაშემწეს ბ-ნ აზარაპეტოვს—ოქროს გულის ქინძისთავი ძვირფასის თვლებით. მრავალმა ვერცხლის საათები მიიღო საჩუქრად, ზოგმა ფულად. მის უდიდებულესობის აბასთუმნიდგან გამგზავრების წინად დაურიგდათ საჩუქრები ნივთად 50,000 მან. ზოგს საჩუქრები პეტერბურგიდგან მოუვა.

*** წელს ქუთაისის სავაჟო გიმნაზიაში სწავლა დაამთავრეს ოცდაოთხმა მოსწავლემ და ორმაც ეკსტერნმა. მოსწავლეებში ოქროს მედალი მიიღო ოთხმა, ორმა ქართველმა და ორმა რუსმა, და ვერცხლისა ორმა.

ოქროსი: პორფირი დგებუაძემ, პოლიეევქტა შატილოვმა (ესენი ქართველები არიან), იური ვორონოვმა, კონსტანტ. ჩაჩხიანმა (ეს უკანასკნელი გარუსებული ქართველია). ვერცხლისა: ტიტა ბახტაძემ და ალექსანდრე გაბუნიამ.

ოცდა-ოთხ კაცში 14 ქართველია, 6 რუსი, 2 ბერძენი, 1 სომეხი და 1 ებრაელი. ეკსტერნები ორივენი ქართველები არიან: პავლე მეფისაშვილი და ალექსანდრე კრინიცკი.

მოგვყავს ქართველ მოსწავლეთა სია: ივანე ასათიანი, ტიტა ბახტაძე, ალექსანდრე გაბუნია, დიმიტრი დგებუაძე, პორფირი დგებუაძე, ალექსანდრე კანდელაკი, ვლადიმერ კანდელაკი, მიხეილ ქორიძე, იოსებ მაყაშვილი, ანტონ მეფისაშვილი, სამსონ მეფისაშვილი, ვლადიმერ ჩხეიძე, პოლიეევქტა შატილოვი და სიმონ ერისთავი.

*** ჩვენ მივიღეთ ოჩემჩირედგან ბ-ნ კ. გვასალიასაგან ერთი თუმანი განსვენებულ ნ. ბარათაშვილის სახელობაზედ დაარსებულ სალიტერატურო ფონდის სასარგებლოდ. ამ ფონდისა გვქონდა აქამდე 630 მან. 19 კაპ., ამითი შესდგა 640 მან. 19 კ.

*** ამ ხანებში დამთავრდა თურმე აბრეშუმის ქიის კვება კავკასის სააბრეშუმო სადგურზედ. გამოიკვება 70 სხვა-და-სხვა ჯურის აბრეშუმის ქია; ქიის ავადმყოფობა არა ყოფილა რა, მოსავალი ჩინებული იყო და აბრეშუმის პარკებიც მშვენიერის თვისებისაა თურმე.

*** 14 ივნისს, დილის 9 საათზედ და 10 წ., 291 ვერსტის სიშოროზედ ავჭალის ქუჩის ქვემოთ, ხიდიდგან $75^1/_4$ სიმაღლეზედ გადმოვარდა მატარებლადგან ვიღაც უცნობი კაცი, რომელიც ისე ძლიერ დაშავდა, რომ ძნელად თუ სიკვდილს გადარჩა. დაშავებული რკინის გზის საავადყოფოში გაჰგზავნეს.

*** გორი: 10 ივნისს გორის სოსტატა სემინარიაში გამართული იყო აქტი. ამ დღეს დირექტორს მოწვეული ჰყვანდა გორის ინტელიგენცია, ქალი და კაცი, სულ 70-მდე სული. პარაკლისის შემდეგ დირექტორი მიუბრუნდა ხალხს შემდეგის სიტყვებით: „ეს მეთექვსმეტე წელიწადია, რაც სემინარიიდგან მასწავლებლები გამოდიან. წელს კარგის სწავლისა და ყოფა-ქცევის წყალობით სწავლა დამთავრა ცამეტმა კაცმა.“ ამის შემდეგ გაიხმო სათითაოდ ყველა შეგირდები და დაურიგა მოწმობანი. ამ ცამეტს შორის ხუთი ქართველია, ხუთი თათარი, ერთი რუსი, ერთი ჩეხი, მართლმადიდებლად მონათლული, და ერთი სომეხი. მოგვყავს აქვე ქართველების გვარები: ივ. გიუნაშვილი, ნიკ. კანდელაკი, კოსტ. კიკინი, გიორ. საყვარელიძე და გრ. წულუკიძე. შემდეგ დირექტორმა მიიწვია სტუმრები საიჯარო ოთახში, რომელიც ვარდებითა და ყვავილებით საუცხოოდ იყო მორთული.

*** „Нов“-ის სიტყვით, მოსკოვის ბუნების მეტყველებისა, ანტროპოლოგიისა და ეტნოგრაფიის მოყვარულთა საზოგადოებას ამ ზაფხულს დაუგზავნია გამოსაკვლევად, სხვათა შორის, შემდეგი კაცნი: მდივანი საგეოგრაფიო განყოფილებისა ივანოვსკი—ერევნის გუბერნიასა და ყარსის ოლქში საგეოგრაფიო, საანტროპოლოგიო და საეტნოგრაფიო გამოსაკვლევად და საბუნების მეტყველო და საისტორიო კოლექციის შესაკრებად; ფ. ფ. კავრაისკი და კ. ა. სატუნინი—კავკასიაში საბუნების-მეტყველო და საისტორიო გამოსაკვლევად და გ. ი. გეელიშვილი—ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიაში.

*** „Кав“-ს სწერენ, რომ ბორჩალოს მაზრიდგან, ამ მოკლე ხანს ჩვენში, გარდა ყალბის აბაზიანებისა და სხ. ვერცხლის ფულისა, ხშირად შეხვდებით ხოლმე ყალბ ქაღალდის ფულსაცაო.

*** ს. ხარაგაული. (იმერეთი) 12 თიბათვეს აქაურ რკინის გზის სადგურის მახლობელ დუქანში ჩხუბი მოუვიდათ გიგო და სპირიდონ კიკნაძეებს ღვინის სმის დროს და პირველმა ხანჯლით მძიმედ დასცრა სპირიდონ კიკნაძე. ექიმებმა საეჭვოდ იცნეს სპირიდონის მორჩენა. დამნაშავე შეიპყრეს.

*** თუ რომ დაეჯერება „Нов. Обозрѣніе“-ს, თავ. ი. გ. მაჩაბელს თხოვნა მიუცია ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობის წინამძღოლისადმი ამის შესახებ, რომ თავს ვანებებ სათავად-აზნაურო სასწავლებლის კომიტეტის წევრობას მეორე წელთა კრებამდე, რომელიც შესდგება მომავალ გაზაფხულზედო. დანარჩენი წევრები ამ კომიტეტისა თავ-თავიანთნ ადგილას დარჩნენ, თავმჯდომარე-კი კომიტეტისა, ახლად არჩეული გუბერნიის წინამძღოლი თავ. კ. ნ. ბაგრატიონ-მუხრანსკი, ჯერ არ შესდგომია თავისის თანამდებობის აღსრულებას, რადგან დამტკიცებული არ არის თავისს თანამდებობაში.

*** 14 ივნისს სპერის ქუჩაზედ არტემ ნადარაშვილი სანდრო კარახანიანს წაეჩხუბა, ჯოხი დაარტყა და მძიმედ დაშავა. დაშავებული სამკურნალოში გაჰგზავნეს.

*** ამავე დღეს ივანე ღვთის მეტყველის ეკკლესიის მახლობლად ხევში იპოვნეს გაუპატიურებული ევკენი ბაროტკინის ხუთის წლის ქალი. დამნაშავე—მეზეული ვასილ კონდრატიევი შეიპყრეს. ბავშვი სამკურნალოში გაჰგზავნეს.

*** 14 ივნისს პოლიციის მეათე ნაწილში, ვასილიევის სახლში, ჯარის კაცმა იურგილევიჩმა თავისი ცოლი მოჰკლა, რადგან იგი ცუდის ყოფაქცევისა იყო.

*** ჩვენ გვსოვენ დაბეჭდოთ შემდეგი: კავკასიის უსასოფლოთა სამზრუნველო საბჭოს მოუდგა ტფილისის დიდის მოსაკრძალო ოდგა თეოდორეს ასოდის დედათა 1-დ გიმნაზიის უფროსის ქალისაგან, ამ გიმნაზიის მოწაფეთაგან შემოწირული უსასოფლოთა სასარგებლოდ 3 მან. ფულად და თეთრეული (17 პერანგი და 13 „ჩეფჩიკი“), შეკვრიდი ამაკე მოწაფეთაგან ხელ სამქმის გაკეთებულნის დროს. ამ შემოწირულობაში მონაწილეობა მიუღია: დარია შაბურაშვილის ასულს, მოძღვრიშვილისას, ანანეს, ფარანეოვისას, დომოროცკისას, ზალბაკოშვილს, ვერა და ნადეჟდა პეტროვისას, მელიქშაშვილისას, დიუტეკიტინს, მარცანკეევიჩს, მელიქ-გაიკაზოვისას, ტახოშიროვისას, ს. ვ. მიჩურინისას, პოდლესნაიას, სარჭასოვისას და მარზოვისას.

ეგზეკუტორ რა ამას სეოკეკდთოდ, საზრუნველო საბჭო თაისკა სასიამოვნო მოკალოდ სთქვას კანუნსდის გუდთოდი მადლობა ზემო დასახელებულ დედათა პირველ გამნზიის ოფიციალ ასეთის კეთილის საქმისათვის.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲐᲔᲙᲚᲔᲡᲘᲝ ᲒᲐᲚᲝᲒᲐ.

წარმოიდგინეთ, კაცი ირჩობოდეს და იხვეწებოდეს, მიშველეთ, ვინ ხართ ქრისტიანნო, ხომ საშინელი და თავს ზარ დამკვეთ სურათია. ამ დროს, ვისაც-კი რამ შეუძლია, მხნეობას იჩენს და თავს არ ზოგავს, ხოლო ვინც დახმარების ღონეს მოკლებულია, გული ეთუთქება, მწარედ ჰკვნესის და სიბრალულის ცრემლსა ჰვლრის. მაგრამ ეს კიდევ მკრთალი შედარებაა იმასთან, რაზედაც უნდა გელაპარაკოთ. მკრთალია იმიტომ, რომ კაცის სიკვდილს შეჩვეულნი ვართ და იმის სიკვდილისათვის გლოვა და მწუხარებაც დროებითია. ხოლო სიკვდილი და დაკარგვა იმისი, რაც მხოლოდ ერთად-ერთია, აი ეს არის ნამდვილი სამწუხარო, გულსაკლავი და სამუდამო საგლოვი. ეს ერთი იყო ჩვენი საეკკლესიო გალობა. გალობა იკარგებოდა, ვისაც მისი ძალა და მნიშვნელობა ესმოდა, გული სტკიოდა და სჩიოდა, მაგრამ ამ ტკივილსა და ჩივილს, უღონოობისაგამო, გულშივე იკლავდა.

ბოლოს, ჩვენდა საეკლესიროდ, გამოჩნდნენ ამ საქმისათვის ძალისა და ღონის მქონენი. სამღვდელოებამ ფული შეჰკრიბა და დიდძალი საგალობელი დაწერინა. მაგრამ, საბუნხაროდ, გალობა მაინც ხიფათს ვერ გადარჩა. რვა ხმა, რომელიც ძირია გალობისა და რომელზედაც აშენებულია ყველა საგალობელი, დაუწერელი დარჩა. ამ გარემოებამ შეგვაწუხა გალობის მოყვარულნი, ესთხოვეთ ბ. ფ. ქორიძესა და ბ. ა. დუმბაძეს და დაგვიწერეს: რვა ხმის „უფალო ღაღად ვყავ“, „ღმერთი უფალი“, „დიდება და აწდა“, „დასდებელი“ ყველა ხმისა თავი და ბოლო (პირველი ხმისა სულ), რვა ხმის ყველა „სძღის პირი“, „ანტიფონები“ მისი წარდგომები და აგრეთვე სადღესასწაულისა; სადღესასწაულოდამე ერთი მეორისაგან განსხვავებული დასდებელები თითო მუხლი და ყველა სძღის პირი, რამდენიმე ჰრელი საგალობელი, როგორც „მხისა შემოქმედი“, „ალილო არწივი“, „კურთხეულ ხარ“, აგრეთვე ქორწინების საგალობლები და სხვა, ე. ი. ისეთი, რაც ქუთაისში არ დაწერილა. როგორც ბ-ნი ფ. ქორიძე იწერებოდა, დიდძალი საგალობელი შემდგარა ისე, რომ ერთს ჰატარა ჯოხს დატვირთავს თურმე. მაგრამ ჯორი კი არა აქლემიც ცოტაა ჩვენის საგალობლებისათვის. როგორც ვსთქვით, გალობა ზოგი პირველსა და ზოგიც სამივე ხმაზე დიდძალი დაიწერა, მაგრამ რამდენია კიდევ დასაწერი! ათობით და ასობით იყოს კიდევ ვიფიქრებდით რასმე, მაგრამ გალობა ათასობითაა დასაწერი. დასაწერის არ დაწერამ იქნება ჩვენ არ გვატკინოს ისე ძლიერ გული, მაგრამ მომავლისათვის ხომ დიდი დასაკლისი, საბუნხარო და საეალალო იქნება, რაც რასაკვირველია საქმეს აღარაფერს უშველის. ამისათვის მივმართავთ გურიის ყველა მგალობლებს:

გურიის მგალობელნო, დღეს გაქვთ შემთხვევა, ისახელოთ თავი და უანდერძოთ მომავლის თქვენი მკვირცხლი და სიცოცხლით სავსე გალობა. გურიავ აკვანო ჩვენის გალობისავ (როგორც სამართლიანად გიწოდებენ ყველანი) თვით ბ-ნ ფ. ქორიძეს გიყენებთ შუამდგომლად

„კერძო ვექილობი“-ს მოწმობა აღარ მოგეცემთ მომავალს წელიწადს!.. შეშინებულმა ვექილებმა მძიმედ დაუკრეს თავი მსაჯულს და კარში გავიდნენ.

გარედ უბედაძემ ცალკე გაიხმო თედო და უთხრა ძალ-დატანებულის ღიმილითა:

— საქმე ძალიან კარგად მიდის... ხომ ნახე ის დიდ-მუცელა როგორ გაწმენილა „სუდიამ“? სულ კუდით ქვა ასროლინა, ხმა აღარ ამოადებინა!..—თედოს-კი, ცოტა არ იყოს, არა სჯეროდა იმისი სიტყვები და ეკვის თვალით უყურებდა თავისს ვექილს. იმან, მართალია, რუსული არ იცოდა, მაგრამ მსაჯულის სახე უბედაძის ლაპარაკის დროს სანუგეშოს არას ეუბნებოდა. ამასთანავე იგი თითქოს მიხვდა კიდეც უბედაძის ღიმილის ნაძალადეობას.

— მგონი, ბატონო, თქვენც რაღაც გიბძანათ...

— არა... აა... აბა, შენგან არ მიკვირს?!—გაუქარწყლა შიში ვექილმა თედოს.—ისე მელაპარაკებოდა რაღა... მართლა ხომ დაინახე,—იმ სომეხს როგორი ძილი მოუვიდა? ხა... ხა... ხა...—ხარხარებდა უგემურად უბედაძე.—ხალხი სიცილით დაიხოცა, მე რომ სიტყვა მივახალე!.. მართლა... შენ წადი, გარდაწყვეტილება მოისმინე და შემატყობინე... მე იმედი მაქვს, რომ საქმეს მოვიგებთ დ, თუ ვინაცობა არის „სუდია“ ეშმაკის ცხენზედ შეჯდა, ღმერთი გაუწყრა, ისეთი კასაცია და აპელაცია დავსწერო, რომ ქვა გახეთქოს!!..

ამ სიტყვებით თითქმის დაიმედებული თედო შევიდა დარბაზში; კარებში ბერეული შეეფეთა, რომელმაც დაცინვით აათვალიერ-ჩაათვალიერა იგი და გესლიანად მიახალა:

— ისე ღმერთი გაგიწყრეს, რაც მე შენ ვერა დამაკლო-რა!..

— აი, ვნახოთ, შვილოსან! ალილო და ხვალაო! უპასუხა იმავე კილოთი თედომ.

IV

ორმა საათმა გაიარა. სასამართოს ეზო თანდათან ცალიერდებოდა. უბედაძემ, როცა თედო სამსჯავრო დარბაზისაკენ გაისტუმრა, თითონ შინისაკენ გასწია, რადგანაც იმედი არა ჰქონდა რომ საქმე კეთილად დაბოლოვდებოდა და ამიტომ არა სურდა ხალხი თავისა და კლიენტის უკმაყოფილების მოწმად გაეხადა.

სამის ნახევარი იყო, როდესაც აივნიდგან დაინახა ქუჩაში ერთი თავ-პირ გასისხლიანებული კაცი, რომელიც იმის სახლისაკენ მორბოდა. ეს შეძთხვევა უბედაძეს მეტის-მეტად იამა, რადგანაც ახალი გამორჩომის აღელა აიღო. მაგრამ ვერ წარმოიდგენთ იმის განცვიფრებას, როცა შემდეგ თავისი კლიენტი თედო იცნო. ფერი ეცვალა და ოთახში შესვლას აპირებდა, როდესაც თედომ ეზოში შემოასწრო.

— ბატონო... შენი ჭირიმე... მოგკლეს-... დაიბღავლა მოსულმა. იგი ძლივს აგნებდა ენას, რადგანაც თავპირიდამ ჩამონადენის სისხლით პირი სავსე ჰქონდა.

— რა იყო, კაცო, რა ამბაღია?

— რაღა რა ამბავია, შე დალოცვილო!.. საქმეც წავაგე და ასეთი დღეც დამაყენა ჩემმა მოკეთემ!.. თქვენ ძალიან იმედს იძლეოდით... და აბა ნახეთ რა ყოფაში ვარ... სულ თქვენი ბრალია!.. ის კაცი მირიგდებოდა, შუამავალიც გამომიგზავნა, მაგრამ თქვენ არ მიყავით!..

— ხომ არ გაგიეტეულხარ, შე ოხერო?! ჩემი რა ბრალია, თქვენ რომ ერთმანეთს თავ-პირი დაამტვრიოთ?!—შეუტია მრისხანეთ უბედაძემ იმ აზრით, რათა რიხიანად სჩვენებოდა თედოს და არ ეგრძნობინებინა მისთვის თავი დამნაშავედ. მე გითხარი,—წადი, ეჩხუბე-მეთქი?

— გული დამეწვა, ბატონო... უპასუხა მწუხარებით თედომ. ღორი ღორად მომიკლეს თქვენი და „სუდის“ ხარჯიც სხვა იყო. როგორ არ ამომეღო ხმა?

— არა, შე მამა-ცხონებულო მაგ ყველრეაის ის არა სჯობს, რომ ყველაფერი დალაგებით მიამბო? იქნება საქმეს ეშველოს რამე... მოულბა ცოტათი უბედაძე.

თედოც ამ აზრმა მოხიბლა და ისევ მტრის დაჩაგვრის სურვილმა გაიტაცა. ამიტომ იმან ყველაფერი უამბო უბედაძეს.

— სულიამ, შენი ჭირიმე, საქმე მოსპო, რადგანაც შენს ღორს ბერეულ ნთესი მოუჭამია. ამაზე მე და იმ ოჯახ-დანიავებულს ლაპარაკი მოგვიხდა და, საქმის მოგებით წავეზებულმა, ეგეთი დღე დამაყენა... აბა რა ვქნა, შენი ჭირიმე? გული არ დამეწოს!?! ოხ მე!... ოღონდ ის დამაჩაგვრინა და რაც უნდა მო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და გთხოვთ, ნუ დაჰკარგავთ ამ შემთხვევას და გულ-აცრუებულს ნუ გამოისტუმრებთ ამ ჩვენის გალობის ნოტებზე გადამღებს. „ჰა, სიძე მოახლეშია ალ და გიწოდესთ შვეიდან“ თქვენც ღირსეულად განემზადეთ თქვენის მწყობრისა და სასიამოვნო გალობით. თუ არა, შეიძლება ეგ სიძე წამოვიდეს, ამ საქვეყნო საქმეს სამუდამოდ კარები ჩაეკეტოს და მერე ჩვენი და კარების რეკა უკვე ეიქნეს. თვით ეს სიტყვებიც ხომ თქვენი საყვარელი საგალობელია, შეგვისრულეთ ამისი შინაარსიც. მიიღეთ ყველამ მონაწილეობა ამ საქმეში, დაწყებული საქმე დაამთავრებინეთ, დაგვირგვინებინეთ და ამითი დაგვანახვეთ, ვის რამდენად შეგიგნოთ საქვეყნო საქმე, რა წყურვილი და ხალისი გქონიათ მის წარმატებისათვის. ამ ერთს საქმეში გამარჯვება ხუთშაოც წაგვაქეზებს და მომავალის იმედს მოგვცემს. ხოლო თუ ამ ერთში წაგიბორძიკეთ ამას მეორეცა და მესამეც მოჰყვება და ასეთი წაბორძიკება-კი სასოწარკვეთილებაში ჩაგვგდებს და ყველაფრის იმედს გაგვიქარწყლებს.

მიეცით „კეისრისა კეისარსა და ღვთისა ღმერთსა“. ეს ღვთისაგან მომადლებული ნიჭი და ცოდნა მასვე მიართვით საერთო საკურთხეველზე ძღვნად და ᲭᲘᲪᲕᲔᲠᲞᲚᲔᲜᲐ, რომ ამ შეწირულის მსხვერპლით იხარებდეთ თქვენც, ჩვენც, ჩვენი მომავალიც და ვადიდებდეთ ჩვენს შემოქმედს იმითი, რითაც ადიდებს ყველა რჩეული და გაუფრავი ერი. შეგვწიეთ ყველამ შეძლებისადა გვარად თქვენი ნიჭი და ცოდნა და ამითი დაგვანახვეთ, რომ თქვენ ხართ სულითა და ᲭᲔᲛᲐᲠᲘᲢᲔᲑᲘᲗ თაყვანის მცემელნი მამისა. ჩვენ დიდის სიხარულითა და მადლობით მივიღებთ ყველასაგან, თუნდ სულ-მცირესა და უბრალო საგალობელსაც და ყურადღების ღირს ყველასთვის საყურადღებოსა ვყოფთ.

ᲕᲗᲮᲝᲕᲝᲗ ჩვენს ყველასაგან დიდად პატივსაცემს, გამოჩენილსა და თავმგალობელს ბ-ნს ანტონ დუმბაძეს, რომ შემდეგშიაც არ დაიშუროს თავისი ძნელობა და მეცადინეობა გალობის გადაღების საქმეში და თავისი მაგალითით სხვებიც წაახალისოს ამ ღირსეულსა და სასიქადულო საქმეში.

გალობის ერთი მოყვარულთაგანი

ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲐᲮᲐᲚᲪᲘᲮᲘᲡᲓᲒᲐᲜ

ახალციხის საქველ-მოქმედო საზოგადოება და მისი საგანი.—მისი მდგომარეობა და ახალციხის მცხოვრებლების გულ-ცივობა.—„გამგე კომიტეტი“ და „აღმშენებელი კომისია“.

ახალციხის საქველ-მოქმედო საზოგადოება დაარსდა 1872 წელს ანნა ბესარიონის ასულის მეუხლეᲨᲘᲜᲘᲚᲘᲡ თაოსნობით. იმ აზრით, რომ გაეგრცელებინა პირველ-დაწყებითი სწავლა დედათა შორის, ეროვნებისა და სარწმუნოების განურჩევლად. საზოგადოებას აქვს ერთად-ერთი საყოველთაო დედათა სასწავლებელი ქ. ახალციხის ძველ ნაწილში (რაბათში). საზოგადოების საქმე კარგად მიდიოდა, როცა თავმჯდომარეობდა განსვენებული ანნა ბესარიონის ასული, მისი დამაარსებელი. სამწუხაროდ, „გამგე კომიტეტს“ არ უზრუნია სასწავლებლის მერმისისათვის, არა სცდილა ასე თუ ისე უზრუნველ ეყო სასწავლებლის არსებობა. ამის გამო საზოგადოება მეტად ღარიბია და ძლივძლიობით ᲧᲬᲔᲕᲐ ᲣᲦᲔᲚᲘ თვისს არსებობისს: არ მოეპოვება არავითარი თანხა და არც უძრავი ქონება.

ასეთი მიმდინარეობა საქმისა დიდად სამწუხარო და არა სასიამოვნოა. ᲫᲘᲠᲘᲗᲐ არ იქნება, საზოგადოებამ გამოაცქვიტოს ყური, მოისმინოს ლონისა რამე და მხნედ შეუდგეს საქმეს. ასეთ მცირედ შესატანს, როგორიც არის საზოგადოების საᲬᲔᲕᲠᲝ ფული (წელიწადში 5 ანუ 3 მანეთი) და ამ კეთილ საქმეს, რომელსაც მხოლოდ ის აქვს საᲬᲐᲠᲐᲓ, რომ გაეგრცელოს ᲞᲘᲠᲕᲔᲚ-ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲘᲗᲘ სწავლა იმ ხალხში, რომელსაც არავითარი სკოლა—სასწავლებელი არ მოეპოვება, მრავალი წევრი უნგასᲩᲬᲔᲠᲓᲐ“, მაგრამ, სამწუხაროდ, გულ-შემატკივართა რიცხვი ამ კეთილსა და საშვილᲨᲘᲜᲘᲚᲝ საქმეს, როგორც სჩანს, ახალციხეში ძლიერ მცირე მოეპოვება. სხვა სასწავლებელი რომ არსებობდეს, მაშინ შეიძლება კაცმა სთქვას: ალბად ამ სასწავლებლის არსებობა და შენახვა მეტი ხარჯი და საზოგადოებაც იმიტომ ეპყრობა ასე გულცივადაო; მაგრამ ამ კარგად მოზრდილს ქალაქში (18,000 მცხოვრებია) ამის მეტი დედათა სასწავლებელი სხვა არა არსებობს, სომეხთა სასწავლებელს გარდა. აკი მოგახსენებთ

მიეცდეს!... დაიძახა სასოწარკვეთილებით გლეხმა.

თედოს ლაპარაკის დროს უბედაძე ᲭᲝᲕᲘᲠᲝᲑდა, როგორ უნდა ვიმოქმედოო, და ცდილობდა როგორმე მარილი გამოსულიყო ამ საქიდან, ამასთანავე ახალმა გარემოებამ —თედოს ცემამ—იმისმავე გაგულისებამ მას ახალი გამოარჩომის მადა გაუღვიძა. სწორედ ეს ფიქრი იყო იმის მიზეზი, რომ უᲩᲔᲓᲐᲫᲘ დამშვიდდა, ტკბილი კილო მიიღო და ღიმილით მიმართა თედოს:

— ნუ გეშინიან... ყველაფერი მოხერხდება... მე თუ მოვინდომებ, საკამბიროდ გავხდი ის შენს მოპასუხეს... დღეა თავ-გამოდებით ვექილმა და ამით მთლად მოაᲯᲐᲜᲓᲐᲗᲐ კლიენტი, რომელიც ისე იყო შურის ძალით გამსᲭᲕᲐᲚᲣᲚი, რომ ყოველი ქადილი ვექილისა სრᲣᲚᲘ სიმსრთლედ მიაჩნდა.

— აბა, შენი ᲭᲘᲠᲘᲗᲘ, ოღონდ მიხერხე იმისი დანიავება და ყმად დაგისახლდები... ამ სიტყვებმა უბედაძეს სასიამოვნო ᲠᲘᲣᲜᲢᲘᲡᲔᲠᲘ მოᲭᲐᲠᲐᲡ.

— მოიცა, შენ ᲯᲔᲠ ეს მითხარი, სადა გცემა ᲑᲔᲠᲣᲐᲗ, „სუდის“ ეზოში?

— იქ, იქ, შენი რისხვა არა მაქვს!..

— ეჰე... ამას ციმბირის სუნი სდევს!.. სთქვა გაᲠᲩᲔᲣᲚᲔᲑᲘᲗ და ᲬᲐᲠᲑᲔᲑᲘᲡ აᲬᲔᲕᲘᲗ უბედაძემ. ამის გაგონებაზედ თედო სიხარულმა აიტანა.—მაგრამ,—განაგრძო ვექილმა: ნათქვამია „ვალს გადახდა უნდა“-ო, შენც უნდა რითიმე გადმიხადო თუ არა?! ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ მოხერხდება... მხოლოდ...—აქ უბედაძე შესდგა და თედოს თვალებში ისეთ ნაირად ჩაᲐᲪᲥᲔᲠᲓᲐ, თითქოს ᲭᲘᲗᲮᲐᲕᲓᲐ: „ნუ თუ ვერ მიხვდი, რასაც გეუბნებიო?“—ბოლოს სიᲩᲣᲛᲘᲡ შემდეგ, ისევ დაᲬᲧᲝ ლაპარაკი:—შენ ᲬᲔᲚᲜᲐᲐ სთქვი, რომ „ყმად დაგისახლდები“—ეს საᲭᲘᲠᲝ არ არის!.. მე სიტყვას გაძლევ, რომ შავი დღე დავაᲧᲔᲠᲜᲔ შენს მტერს და შენც ამის მაგიერი...

— ბატონი ბძანდებით...—გააᲩᲧᲔᲓᲐ სიტყვა ვექილის ლაპარაკით მოთმინებიდან გამოსულმა თედომ.

— არა, მოითმინე! ᲧᲕᲔᲚᲐ გაკეთდება, მოხერხდება, მხოლოდ ისე იაფად-კი აღარ ეღირება, როგორც ღორის საქმის წარმოება.... ეხლა ᲩᲔᲜᲘ გამომძიებელთან უნდა ვიᲩᲘᲕᲚᲝთ, მერე საქმე ოლქის სასამართლოში გაიგზავნება და ყველა ამას დიდი თავის ხეთქვა უნდა, ტᲤᲘᲚᲘᲡᲨᲘ ჩასვლა და სხვა....

— მაინც რამდენი უნდა მოგართოთ?

— სულ უკანასკნელი ხუთი თუმანი... ᲔᲡᲔᲪ მხოლოდ იმიტომ, რომ ღორის საქმე წავაგე და შენ მაინც ისევ მე მომმართე, ამის გამო პატიოსან კაცად მიმᲐᲩᲜᲘᲮᲐᲠ.. და

ᲠᲣᲡᲔᲗᲘ

— ᲣᲬᲛᲘᲜᲓᲔᲡᲘᲛᲐ სინოდმა გადასწყვიტა შესწიროს იმ ბერძენთა, რომელნიც დაზარალდენენ მიწის ძვრის გამო, 3000 მან. სინოდის სტᲐᲛᲑᲘᲡ თანხიდგან.

— მალე შეუდგებიან და განახორციელებენ კიდეც ნაფიც ვექილთა ინსტიტუტის რეფორმას. ამ აზრით იუსტიციის სამინისტროს მიერ შემდგარი კომისია, რომელმაც ის აზრი დაასკვნა, ეს ინსტიტუტი ნაფიცვექილთა იმდენად გავრცელდა და გაიზარდა, რომ ახლა დროა შეიზღუდოს კერძო ადვოკატურა და დაᲬᲘᲚᲓᲔᲡ კომპლექტი ნაფიც ვექილთაო. ამ საქმეში სახელმძღვანელოდ უნდა იქნესს მიღებული შემდეგნი წესნი: 1) სამოსამართლო დაწესებულებას თითოეულ-წევრზედ სამზედ მეტი ნაფიცი ვექილი არ უნდა მოდიოდეს და 2) რომ ერთი ნაფიცი ვექილი მოდიოდეს 15 სამოსამართლო საქმეზედ. კომისიას ცოტა არ იყოს

ᲓᲔᲓᲘᲝᲗ“—ეს საᲭᲘᲠᲝ არ არის!.. მე სიტყვას გაძლევ, რომ შავი დღე დავაᲧᲔᲠᲜᲔ შენს მტერს და შენც ამის მაგიერი...

— ბატონი ბძანდებით...—გააᲩᲧᲔᲓᲐ სიტყვა ვექილის ლაპარაკით მოთმინებიდგან გამოსულმა თედომ.

— არა, მოითმინე! ᲧᲕᲔᲚᲐ გაკეთდება, მოხერხდება, მხოლოდ ისე იაფად-კი აღარ ეღირება, როგორც ღორის საქმის წარმოება.... ეხლა ᲩᲔᲜᲘ გამომძიებელთან უნდა ვიᲩᲘᲕᲚᲝთ, მერე საქმე ოლქის სასამართლოში გაიგზავნება და ყველა ამას დიდი თავის ხეთქვა უნდა, ტᲤᲘᲚᲘᲡᲨᲘ ჩასვლა და სხვა....

— მაინც რამდენი უნდა მოგართოთ?

— სულ უკანასკნელი ხუთი თუმანი... ᲔᲡᲔᲪ მხოლოდ იმიტომ, რომ ღორის საქმე წავაგე და შენ მაინც ისევ მე მომმართე, ამის გამო პატიოსან კაცად მიმᲐᲩᲜᲘᲮᲐᲠ.. და

გაᲣᲙᲔᲗᲔᲑია-რა. თუმცა საზოგადოებას აქვს ქალაქისაგან მოზომილი ერთი ნაᲬᲔᲠი მიწა (300 ოთხ-კუთხი საᲟ. ციხის მახლობლად), და ᲰᲭᲝᲜდა წარმოდგენიდამ შემოსული და გენერალ-მაიორის ა. ი. მუსხელიᲨᲕᲘᲚისაგან შეწირული ფული 300 მან., რომლითაც მოატანინა ქვა და ქვიშა, მაგრამ „კომისიამ“ ვერ გამოიჩინა უნარი, რომ ეზრუნა და საქმეს შესდგომოდა. სხვა საᲬᲘᲠᲝᲑᲘსათვის საზოგადოებას ერთი გროშიც არ მოეპოვება. აი ეხლა უნდა მხნე და გამრᲯᲔ კაცი, რომ მოაგროვოს ფული და შეწირულებანი სასწავლებლის შენობის სასარგებლოდ. სასᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲘᲡ რომ საᲭᲘᲠᲝა და სარგებლობაც მოაქვს, ეს ყველასთვის ცხადია. ამისათვის საᲭᲘᲠᲝა ამ საქმის კეთილად დაგვირგვინება, თორემ მერმე-ღა თითᲝᲖᲔ კᲔᲑᲜᲘᲜ გვიან-ღა იქნება.

ახალციხᲔᲨᲘ საკამრისად არიან შეძლებული ქველ-მოქმედნი და საზოგადო საქმის გულ-შემატკივარნი, რომელთაც შეუძლიანთ აღმოუᲩᲘᲠᲜᲝᲗ საზოგადოებას არა თუ თვალ-საᲩᲘᲜᲝ შემᲬᲘᲠᲝᲑᲐ, არამედ თითოეულს მათგანს შესᲬᲘᲠᲔᲓ ძალა სკოლის შენობის აგებისა, და თუ ამდენს ხანს ვერ განუᲗᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲘᲗᲐᲜ საქმე, ამის მიᲖᲔᲖᲘ ერთმანეთᲘᲗ რაღაც მიზეზის გამო უთანხმოᲑᲐᲐ.

დასასრულ უნდა აღვᲜᲘᲨᲜᲝთ ერთი სამᲬᲣᲮᲐᲠᲘ მოვლენა. ამ ბოლო დროს ჩვენს საზოგადოᲑᲐᲨᲘ ფეხი გაიდგა უᲐᲮᲠᲐ «მადის აᲨᲚᲐᲛᲐ», კიცხვამ და ᲭᲝᲠᲛᲐ (ᲭᲝᲠᲘᲜᲗ ახალციხელები გორელებსაც გადააᲭᲐᲠᲗᲔᲑᲔᲡ), რასაც, ᲧᲕᲔᲚᲐᲛ, იცის, რა ᲨᲔᲓᲔᲒი მᲝᲰᲧᲝᲗᲐ ხოლმე. მიზეზი გახლავთ ერთმანეთᲨᲘ კერძო უსიამოვნება და ᲭᲝᲠᲘᲜ-ᲔᲜᲐᲪᲘᲔᲚᲘᲗ ᲭᲝᲠᲘᲜ ᲒᲔᲡᲚᲘᲡ გულᲨᲘ ჩაᲬᲔᲓᲐ. ამ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ მიმართ, რომელსაც ცოტა თუ ᲑᲔᲕᲠᲘ რამ საᲠᲒᲔᲑᲚᲝᲑა მოაქვს საზოგადოებისათვის. საკვირველია, ღᲛᲔᲠᲗᲛᲐᲜ! ᲜᲣ თუ ამდენს ხანს ვერ შეიგნᲔᲚᲘ, თუ რა ზიანი და ᲖᲔᲜᲐ მოაქვს საზოგადოებისათვის კერძო ინᲢᲔᲠᲔᲡᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ საზოგადო საქმᲔᲨᲘ ჩაᲰᲩᲘᲠᲔᲑᲐᲡ? აᲠ ვიცი აქ რა ᲨᲣᲐᲨია საზოგადოᲑᲘᲡ სასᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲘᲡ. აი ამ „მადის აᲨᲚᲐᲛᲐ“, მითქმა-მოთქმამ და ᲭᲝᲠᲘᲜᲔᲑᲛᲐ იმოᲬᲕᲚᲔᲓ ზოგიერთზედ და ხელი აიღᲔᲜᲘᲜ საზოგადო კეთილ საქმეზედ. ვიცი მეტყვით: „თუ კაცს გული შესტკივა საზოგადო საქმისათვის, მითქმა-მოთქმას ყური არ უნდა ათხოვოსო“, კარგი და კეთილი, მაგრამ ამ საᲑᲠᲫᲜᲚᲘ მიმᲔᲓᲒᲐᲠᲘ მე-

---

ᲛᲘᲜᲓᲐ ᲮᲐᲠᲯᲘ ᲨᲔᲒᲠᲔᲛᲘᲡᲣᲑᲣᲭᲛ. დანარᲩᲔ ᲮᲣᲗᲘ მანეთს აღარ გამოგართმევ!...—ეᲣᲑᲜᲔᲑᲝᲓᲐ ᲛᲝᲛᲘᲖᲔᲚᲐᲕᲘᲡ ღიმᲘᲚᲘᲗ ᲧᲣᲑᲔᲓᲐᲫᲘ და თან მეგობᲠᲣᲚᲐᲗ მᲮᲐᲠᲔᲖᲔ ᲮᲔᲚᲘ ᲐᲓᲔᲑᲓᲐ...

ᲡᲐᲧᲕᲐᲚᲛᲐ თედომ სასᲝᲠᲬᲐᲠᲙᲕᲔᲗᲘᲚᲔᲑᲗᲝᲗ ამოიოხრა, მᲬᲣᲮᲐᲠᲘᲗ გაᲘᲦᲘᲛᲐ და ძლივ წᲐᲠᲛᲝᲡᲗქვა—ვინ მომაქᲪᲐᲕᲐ, ბᲐᲢᲝᲜᲝ, ახლა მაგდენი?

— არა, თან რამდენი გაქვს? ᲰᲯᲘᲗᲮᲐ ვექილმა.

— ერთი თუმანი, შენᲘᲪᲘᲠᲘᲛᲔ...

— ᲯᲔᲠ-ᲯᲔᲠᲝᲑᲗᲘ ეგ ᲙᲛᲐᲠᲐ და მერე სხვა იყოს; დანარᲩᲔᲜᲘ-კი თᲛᲐᲡᲣᲭᲛ ᲰᲛᲝᲒᲐᲠᲗᲛᲔᲕ.—აქ უბედაძემ თედოს ყოᲧᲛᲐᲜᲝᲑᲐ შᲔᲐᲪᲧᲝ და, რომ უᲬᲘᲠᲜᲐ გაᲔᲪᲘᲕᲫᲘᲜᲐ იმის გულᲨᲘ ᲨᲣᲠᲘᲡ-ძიᲔᲑᲐ, შᲔᲛᲓᲔᲒᲘᲡ სიტყᲕᲔᲑᲘᲗ მიᲰᲛᲐᲠᲗᲐ.

— მე რომ მᲢᲠᲘᲡ ᲯᲐᲕᲠᲘᲡ ამოᲧᲠᲐ მინდოდეს, მᲝᲔᲚᲘ ᲰᲛᲘᲡ ᲪᲮᲝᲠᲕᲠᲔᲑᲐᲡ ᲖᲔᲓ დადავᲐᲒᲔᲑ და თავს კი გავიᲢᲐᲚ. ამასთანავე ეს საქმე, უᲣᲪᲕᲔᲚᲘᲐ, ᲪᲣᲚᲘ

ᲓᲦᲔᲡ დაᲐᲧᲠᲔᲑᲡ იმ...იმ...„ᲑᲝᲜᲢᲐᲜᲨᲘᲙᲘ“...

თედოს იᲩᲔᲓ და გაᲣᲑᲔᲓᲐᲝᲑᲐ გაᲥᲐᲠᲬᲧᲚᲓᲐ, აღარც-კი დაᲓᲔᲭᲘᲠᲑᲣᲚᲐ, ამოიღო ფული და გაᲣᲬᲛᲝდა ვექილს.

— აბა, ბᲐᲢᲝᲜᲝ, თქვენ იცით და თქვენმა ღᲛᲔᲠᲗᲛᲐ; უᲤᲐᲡᲚᲐ ვᲤᲘᲪᲐᲕ ეს თუᲗᲣᲜᲘ ძლივს ვიᲯᲐᲚᲐ, მერე თითᲝᲕᲘᲗ ᲝᲗ ᲨᲐᲣᲠᲘ მᲐᲠᲗᲛᲔᲕᲔᲑ. ᲮᲣᲗᲘᲡ მᲐᲜᲔᲗᲘᲡ თქვენᲗᲕᲘᲡ მინᲓᲝᲛᲐᲓ მᲝᲛᲐᲠᲗᲛᲘᲐ და ᲮᲣᲗᲘᲡ მᲐᲜᲔᲗᲘᲡაᲪᲘᲡ ᲩᲛᲘᲡ დᲔᲓᲐᲨᲝᲛᲘᲚᲐ ᲪᲝᲚ-ᲨᲘᲜᲔᲚᲘᲡათვის სავᲐᲭᲠᲝᲡ ᲧᲘᲓᲕᲐᲡ ᲒᲐᲕᲐᲠᲘᲒᲓᲔᲓ, მაგრამ, ᲓᲔᲓᲔ!.. ᲝᲚᲝᲜᲓ ᲝᲛᲘᲡ ᲝᲮᲢᲐᲨᲘ მᲝᲕᲘᲓᲔᲓ ᲓᲐ...

— გაᲓᲚᲔᲕ ᲰᲐᲢᲘᲝᲡᲘᲜᲡ სიტყᲕᲐᲡ, რომ ᲝᲛᲘᲡ ᲪᲝᲚ-ᲨᲘᲜᲔᲚᲘ ᲐᲢᲘᲠᲘᲗᲔᲑᲣᲚᲘ განახᲔᲑ!!.—უᲗᲮᲠᲐ უᲑᲔᲓᲐᲫᲛᲐ დაᲑᲯᲘᲗᲔᲑᲘᲗ და ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ქᲐᲓᲐᲚᲓᲔ ᲯᲘᲑᲘᲡაკᲔᲜ გაᲐᲫᲐᲜᲐ.

Ი. ᲔᲚᲔᲣᲗᲔᲠᲘᲫᲔ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაუბერდა, რა პროკენტი დაეწესებინა ებრაელთა შთამამავლობის ნაფიცვექილთა, ესე იგი ის ნაფიც ვექილზედ რამდენი ებრაელი ნაფიცი ვექილი უნდა იყოსო და გადასწყვეტა, რომ 10 პროკენტს არ უნდა აღემატებოდეს მათი რიცხვიო.

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

გაზ. „С.-Пет. Вѣд.“-ი დიდის სიამოვნებით ეგებება იმ გარემოებას, რომ ამ ჟამად მთავრობა ცდილობს შემოიღოს ყველგან რუსეთის განპირა ქვეყნებში ახალი სამოსამართლო რეფორმები. გაზეთი სწუხს მხოლოდ, რომ სრულად და სავსებით არ უნდათ შემოიღონ სამოსამართლო წესდებანი; ერიდებიან ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის შემოღებასაო. ჩვენს აზრით-კი, სწორედ მაგ ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტსა აქვს დიდი მნიშვნელობა განპირა ქვეყნებში, საცა იმდენი განსაკუთრებული ვითარება და გარემოება არსებობსო.

უნდა გვახსოვდესო, ამბობს ზემოხსენებული გაზეთი, რომ 1864 წლის სამოსამართლო რეფორმა ვრცელდებაკი რუსეთის განპირა ქვეყნებში, მაგრამ ამ ახალ სამოსამართლო დაწესებულებათ თან აღარ ატანენ, ზედ აღარ ურთავენ ისეთს შესანშნავს ორგანოს „წყალობის მოსაღებად“, როგორიც არის მონაწილეობა სამოსამართლო სამეგობრო ნაფიც მსაჯულთა. ფორმალურს სამართალს-კი არ შინაარეკენს ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი განპირა ქვეყნებს, არამედ სამართალს ნამდვილს, იქაურ ცხოვრებისა და ადგილობრივივის ვითარების შესაფერსა და შესაბამს. კარგად ვუწყოთ, რომ რაც უფრო განსაკუთრებულსა და განკერძოებულს ყოფაშია ცხოვრება რომელსამე ქვეყნისა და კუთხისა, მით უფრო საზოგადო კანონი ნაკლებად სამართლიანია, ნაკლებ განმახორციელებელია სიმართლისა და მით უფრო საჭიროა იმ საზოგადო კანონზედ დაერთოს ზოგიერთი დამატებანი, ის კანონი შეიცვალოს და შესწორდეს, რასაც ტვირთულობენ წარმომადგენელნი იქაურის მკვიდრისანი ნაფიც მსაჯულთა სახით. ეს ნაფიკნი მსაჯულნი ისე აწარმოებენ მართლ-მსაჯულობას, როგორც უფრო შეეფერება და შეეწონება მათ ამომრჩეველთა სვინიდისს და გრძნობას სამართლიანობისს.

ამ აზრის დასამტკიცებლად გაზეთს მოჰყავს რამდენიმე ადგილი იმ განმარტებითის წერილიდან, რომელიც წინ უძღვის სამოსამამართლო წესდებას ალექსანდრე II-სა. იქ სწერია, სხვათა შორის, რომ ნაფიც მსაჯულთა ღირსება ის არის, რომ ისინი იცნობენ

„ბრალდებულთა უმეტესს ნაწილს, რომ იმათ იციან ზნე-ჩვეულება, წესი და ადათი, ყოფა-ცხოვრება იმათი, რომელთა შორისაც აღრზდილა ბრალდებული“.

იქვე სწერია კიდევ:

«ყოველის ბრალდებულისათვის დიდი ღვთის წყალობა, დიდი ფარი და ხმალი უნდა იყოს ისეთი სასამართლო,რომელშიაც ბუეებად ისხდებიან და მსჯავრს დასდებენ ისეთნი, ვინც ამ დროს ვერსად წაუვლენ იმ ფიქრთა და აზრთა წრეს რა ფიქრთა და აზრთა წრეზედაც სდგას ბრალდებული».

დასასრულ გაზეთი დაასკვნის შემდეგს ყოველად სამართლიანის და ჩვენის ქვეყნისათვის ფრიად სასარგებლო აზრს:

აქედამ ცხადიაო, რომ განპირა, შორეულ ქვეყნებს, საცა ისე მრავალ-ფეროვნობს და მრავალ-გვაროვნობს ყოფა-ცხოვრება, აზრი და ფიქრი მკვიდრთა, უფრო მეტად ეჭირვებათ სასამართლო ქვეყნის ნამუსისა და სვინიდისის წარმომადგენელთა მონაწილეობით, ვიდრე რუსეთის შუაგულ ქვეყნებს, რომელთა ყოფა-ცხოვრება და ვითარება უფრო კარგად იციან სახელმწიფო მსაჯულებმა.

სიამოვნებით ვეგებებით ამ მსჯელობას გაზეთისას და ვისურვებთ, რომ ამ აზრს მრავალი მომხრე აღმოსჩენოდეს, აზრი აზრად არ დარჩენილიყოს და სისხლ-ხორციც მალე შეეხსას იმ განპირა და შორეულ ქვეყნებისათვის, რომელნიც დღემდე მოკლებულნი არიან უკეთესს სამკაულს სამოსამართლო რეფორმასას—ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტს.

უცხოეთი

ინგლისი. ლორდთა პარლამენტმა განიხილა ამ დღეებში ის საგანი, რომ ნება მიეცეთ დაქვრივებულთ შეირთონ ცოლად თვისი ცოლის დანი. ქვედა პარლამენტმა, რაკი იცის, რა აზრიცა ტრიალებს ამ მხრივ საზოგადოებაში, მეთერთმეტჯერ გადასწყვიტა, რომ საჭიროა საქორწინო კანონები შეიცვალს და ზემოხსენებული ნება დართულ იქმნასო. ამის პროექტი ყოველ წლივ წარედგინება ხოლმე ქვედა პარლამენტს.ხოლო უკანასკნელ ხანში ჩვეულებად შემოვიდა, რომ ეს პროექტი პირდაპირ ლორდთა პარლამენტს წარედგინოს ხოლმე. იმას კიდევ არ მოსწყენდა ამ პროექტის უყურადღებოდ დატოვება და წელს მეცამეტეჯერ უარ-ჰყო. წელს 9 ხმის უმეტესობით არ შეიწყნარა ეს პროექტი ლორდთა პარლამენტმა. 120 წევრთა შორის, რომელთაც უნდოდათ შეწყნარება პროექტისა, იყო პრინცი უელსისა და ორი სხვა პრინცი კიდევ. 129 წევრთა-შორის, რომელთაც არ ინდომეს, რომ ქვრივს კაცს ნება ჰქონდეს თავისი ცოლის და შეირთოს, ერივნენ 20 ეპისკოპოსი ანგლიკანთა ეკკლესიისა. ეს ეპისკოპოსები ებრძვიან უფრო ამ რეფორმას, რომელიც ინგლისის ახალ შენებში დიდი ხანია უკვე შემოღებულია.

საფრანგეთი. შემოდგომაზედ უთავდებოდა ვადა რესპუბლიკის პრეზიდენტობისა სადიკარნოს, რომელიც ისე უწყალოდ, ისეთის ღალატით იქმნა მოკლული ამ ორის დღის წინად ლიონში. ახალის პრეზიდენტის ასარჩევად ეხლავე ემზადებოდნენ საფრანგეთში. სემიტების მოწინააღმდეგე გაზეთმა Libre Parole-მა მოინდომა, ეხლავე ვცდი პრეზიდენტის არჩევანს საყოველთაო ხმის მოკრეფითაო, პლებისციტის შემწეობითაო, რომელიც საუკეთესო ღონისძიებად მიიჩნიათ ბონაპარტელებსა და ბულანჟელებს. საყოველთაო ხმის მოკრებით უფრო სამართლიანი იქმნება არჩევანი პრეზიდენტისაო, ამბობენ ისინი. რედაქციას მიუვიდა მრავალი ბარათი, რომელშიაც მიმწერნი ასახელებენ, ვინ უნდათ პრეზიდენტად. სულ მისვლია 18, 515 ბარათი 11, 508 დაუსახელებია პრინცი ვიქტორ ნაპოლეონი, 2, 718 რომელიღაც ლენერული X., 1461 გრაფი პარიეელი, 374 კეზიმირ პერიე, 264-კონსტანი, 262-კარნო, 214-დიუპუა. სხვები ძალიან ცოტას დაუსახელებიათ. ეს ციფრები სრულიად ამტკიცებს, რომ გაზეთის მიერ მოგონილის პლებისციტით მოინდომეს ფონს გასვლა ბონაპარტელებმა და ბულანჟეს მომხრეებმა, რომელთაც ძალიან უნდათ, რომ რესპუბლიკის პატრონად იყოს სამხედრო კაცი. Figaro არკვევს ამ ციფრებს და ამბობს, რომ არავითარი სურვილი არა გვაქვს გავაზიადოთ მნიშვნელობა ამ კერძო პლებისციტისა, ხოლო არ შეეჰლება ყოველ შემთხვევაში ანგარიში არ გაუწიოს კაცმა იმ შედარებით შესამჩნევს ხმის უმეტესობას, რომელიც მიუზიდნია პრინც ვიქტორ ნაპოლეონს, როგორც რესპუბლიკის საპრეზიდენტო კანდიდატს.

წერილები რედაქციის მიმართ

I

გთხოვთ ნება მაბოძოთ თქვენის გაზეთის შემწეობით მადლობა მოვახსენო ამით, რომელთაც ჩემდამი რწმენუნჯულს ახალგიხის წმ. იკ. ნთლის-ტაძრის ეკკლესიის სასწაულებელს შემოსწერეს:

დიდ მახეად ანტონოვს 10 მანეთი, პატრა პაკელ კალიჯოვს 10 მან., იოსებ ი. გურგენოვს 5 მან., მ. ალმეგრავს 5 მან., იაკობ ბ. ისარდოვს—10 მან., არტემ ი. გურგენოვს 10 მ., პეტრე კ. ზუბალოვს 15 მან., ივ. და ალექსანდრე ბეზარგანოვს 5 მან., თაკ. ილიან თუმანოვს 5 მან., თ. ბ. თუმანოვს 2 მან., ბ. ისარდოვს 3 მან., რაფაელ ისარდოვს 2 მან., ბ. კ. 1 მ., ს. დ. 1 მან., ილ. 1 მან., იაკობ ი. გურგენოვს 25 მან., უენობისაგან 3 მან., ელისაბედ ბასინოკისან 5 მ., ბაკალე ი. გურგენოვს 5 მან., სტანისლაბ ჩარუხანიმ 2 მან., იაკობ ბ. ისარდოვს 5 მან., მისაღებ და ალექსად ისარდოვებმა 15 მან. სულ 145 მან.

ვინმე მესხი

II

თქვენის გაზეთის შემწეობით გულითადს მადლობას გუნსადგან ნაგოთის ასზოგადოების რამდენისამე მოსახლეს თხოვნით თაკ. ალექსანდრე გეორგის ძე მაჭუტაძეს, რომელმც ნიკოთის ღირბ სასწაულებელს შესწირა ერთი სანადაფო მოსახლე კაცი,რომ ღირს სასწაულებლისათვის ორას მანთამდე.

დავით იმნაიშვილი

ᲓᲔᲞᲔᲨᲐ

15 ივნისს

პარიზი. კარნოს ქვრივმა მიიღო ხელმწიფე იმპერატორისაგან დიდად საგრძნობელი სამძიმრის დეპეშა. მინისტრმა გირსმა და ელჩმა მორენჰეიმა აგრეთვე გაუგზავნეს კარნოს ქვრივს სამძიმრის დეპეშები. კარნო დაკრძალული იქნება პანტეონში; გვამი გადაიტანეს ელისეს სასახლის პირველ სარეფულის დიდ დარბაზში. ცხედარს ადგანან ოთხი მოწოფე სენ სირის სკოლისა. გვამი დასვენებული იქმნება სანახავად სასახლის ეზოში. განუწყეტელივ მოდიან მნახველნი. პარიზში მოსვენების დროს გვამი პრეზიდენტისა ჩიბარა სენის დეპარტამენტის პრეფექტმა და ელისეს სასახლის კაბინეტის უფროსმა. კუბო გადატანილ იქმნა ეტლით რომელსაც თან მიჰყვებოდა სხვა ხუთი ეკიპაჟი; ერთ მათგანში იმყოფებოდა კარნოს ქვრივი. თვით ელისეს სასახლეში გვამი მიცვალებულისა ჩაიბარეს რესპუბლიკის პრეზიდენტის სამხედრო კაბინეტის ოფიცრებმა და გადაიტანეს დარბაზში, რომელიც ღროებით სალოცველად გამართეს. ყველა ამ ამბავს ეგებნენ შინაური ხალითი. მინისტრები არ დასწრებიან. კარნოს ქვრივი იმ წამსვე თავის ოთახებში წავიდა.

მინისტრთა საბჭომ დაადგინა, რომ კარნო მომავალ კვირას დაიკრძალოს.

ზოგიერთმა მონარხიელმა დეპუტატებმა და სენატორებმა გადაწყვიტეს რომ საკუთარი კანდიდატი დასახელონ პირველ კენჭის ყრაზედ და, როდესაც მეორე კენჭის ყრა მოხდება, თავისი კენჭები ამ კანდიდატს მისცენ, რომელიც უფრო სამიდო იქნება იმათთვის.

ლიონი. გუშინ შუ-ღამემდი ჩეზარიოს ჩვენება ჩამოართვეს სეტში ყოფნისა და იქედან დაბრუნების შესახებ. მონპეელიში და ვიენაში ჩეზარიომ რამდენიმე ნაცნობი ნახა, მაგრამ თავის განზრახვის შესახებ ერთი სიტყვაც არ გაუმხელია. ჩეზარიომ თავისი თავი ნამდვილ ანარხისტად აღიარა, მომხრედ საქმით ანარხიზმის შესრულებისა. მან პირდაპირ სთქვა, რომ ვმოქმედებდი ჩემ თავად და არ ვეკუთვნოდი არც ერთს წრეს, საიდანაც რაიმე დარიგება შემეძლო მიმეღოვო. გამომძიებელი კი ჰფიქრობს, რომ აქ შეთქმულობა უნდა იყოს და ამ გზით აწარმოებს საქმეს. ჰფიქრობენ რომ ჩეზარიო პარიზსა და სეტას შუა დაიარებოდა, თან დაჰქონდა ანარხისტთა დასის წერილები და დრო-გამოშვებით იმყოფებოდა იქ, სადაც ანარხისტთა შესაკრებელი იყო.

პეტერბურგის ბირჟა, 14 ივნისი

	მეოდეს ლისა.	ბამეოდ. ლისა.	მეაოდ ლისა.
	მან. კ.	მან. კ.	მან. კ.
ხუთ-მანათიანი ოქრო .	7,49	7,51	— ,,
ტამოჟნის კუპონები .	149¼	150	— ,,
მანეთიანი ვერცხლის ფული.	— ,	— ,,	— ,,
5% პირველის შინაგანის სესხის მომგებიანი ბილეთი . . .	— ,,	— ,,	249¼
—მეორისა	225½	— ,,	— ,,
4% მესამე სესხისა. .	— ,,	— ,,	— ,,
სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი .	— ,,	— ,,	190
გრაფინობის ფურცლები ტფილისის ბანკისა:			
6%	101½	— ,,	— ,,
5%	— ,,	101	— ,,
ქუთაისის ბანკის 6%.	— ,,	101½	— ,,
5%.	100½	— ,,	— ,,
5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა	100	— ,,	— ,,

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲜᲘ

ავპალის ქუჩის დასაწყისში, ნიკოლოოზის ქუჩაზედ, საგინაშვილის ქვრივის სახლში, № 21, „ივერიის“ რედაქციის გვერდით, პირველ იანვრიდამ იძლევა ქირით სარდაფი თავის გამართულობით ანუ გაუმართავად. მსურველს შეუძლიან ფასი ჰკითხონ „ივერიის“ რედაქციაში მაქსიმე შარაძეს.

(10—6)

პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა

(ტუკიაში, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ) ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილობამით:

ბ. ს. ნავასარდიანი, 11—12 საათ-ამით, ვისაც სპირს სნეულებანი: სახირურგიო ვენერიული და სიფილისი.

ვ. მ. ჩაქოანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა და ნერვებისა—ტანში ტკივილებისა.

დ. ვ. რუდგოვსკი, 10—11 საათ. სნეულებანი: შინაგანი, ბავშვებისა და დედათა სქესისა.

ი. ფ. ბროტასეგოჩი,—11½—12½ საათ. სნეულებანი: ყურ-სა, ყელის, ცხვირის და გულ-მკერდისა.

ექიმი ქალი ს. მ. ტურბოგოჩი. 12½—1 საათ. სნეულებანი. დედათა სქესისა.

ს. ბ. კარაბეტიანცი, 1—1½ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობამით:

ს. ბურკო, 6—7 საათ. სნეულებანი: ვენერიული და შინაგანი.

ბ. ს. ნავასარდიანი, 7—7½ საათამდის.

ვ. ი. ფრანტიუსი, 7—7½ საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, და ცხვირისა, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით.

რჩევა-დარიგების და რეცეფტის დაწერა-ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებენი. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

გამოვიდა ᲯᲐᲜᲘᲡᲘᲓᲔᲑᲐ

ქართველთა ამხანაგობის წიგნის მაღაზიაში

ᲐᲡᲬᲚᲘ ᲬᲘᲒᲜᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ

Ნ

მისი ისტორიული წარსული დრო

Ვ. ᲞᲝᲢᲝᲪᲘ

თარგმანი ი. ბაქრაძისა

ფასი ორი აბაზი

იქვე: „მოსე მწერალი“, მოთხრობა ე. ნინოშვილისა

ფასი ერთი აბაზი

Ნ

ეროვნული ქართული წიგნები

(3—3)



Дозволено цензурою Тифлисъ, 15-го Іюня 1894 г. ᲡᲢᲐᲛᲑᲐ Მ. ᲨᲐᲠᲐᲫᲘᲡ ᲓᲐ ᲕᲐᲜᲘᲡᲨᲕᲘᲚᲘᲡ. ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ-ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲘ ᲘᲚᲘᲐ ᲭᲐᲕᲩᲐᲕᲫᲔ.